



საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2  
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05  
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

30 / მარტი / 2018 წ.

№ 07/2622

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და  
განვითარების ცენტრის, აღმასრულებელ  
დირექტორს ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ქალბატონო ეკა,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი (N3-161/4, 12.3.2018), რომლითაც წარმოდგენილია 33 არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიცია საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

აღნიშნული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაც გამოიხატება სხვადასხვა სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებაში ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. საკანონმდებლო დაახლოების ერთერთ ასეთ მიმართულებას წარმოადგენს შეთანხმების „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“ თავით განსაზღვრულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რომლის გათვალისწინებითაც მომზადდა ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები.

კანონის პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით დგინდება ჰორიზონტალური ხასიათის ნორმები, რაც საშუალებას მისცემს სსიპ-სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს მოახდინოს იმ სამომხარებლო პროდუქტების გაყიდვების შეჩერება, ბაზრიდან ამოღება ან მომხმარებლებისაგან გამოთხოვა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და გარემოს. კონკრეტული სფეროებზე (პროდუქტებზე) აღნიშნული ნორმების გავრცელება მოხდება ეტაპობრივად DCFTA-ის III-A დანართის საკანონმდებლო დაახლოების ცხრილის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ ცვლილებების მომზადების პროცესში კონსულტაციები იქნა გავლილი შესაბამის ევროპელ ექსპერტებთან და შესწავლილ იქნა თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის გამოცდილება. შესაბამისად ცალსახად შეგვილია ვთქვათ, რომ სისტემა რომლის შექმნასაც ემსახურება წარმოდგენილი ცვლილებები, ადეკვატურად უპასუხებს ყველა გამოწვევას რაც ქვეყანას ამ სფეროში გააჩნია, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და გარემო.

პატივისცემით,

მარინე მაჭარაშვილი

დეპარტამენტის უფროსი, პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის  
მოვალეობის შემსრულებელი